



სტუდენტის შეფასება

1. ბნსუ-ში სტუდენტთა შეფასება ხდება 100-ქულიანი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი სისტემით, რომელიც უშვებს:

შეფასებები	ქულა	შეფასება	
დადებითი	91 – 100	A	ფრიადი
	81 – 90	B	ძალიან კარგი
	71 – 80	C	კარგი
	61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 – 60	E	საკმარისი
უარყოფითი	41 – 50	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 – 0	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი) შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურს (ბნსუ-ში - მრავალჯერადი) და დასკვნითს, რომელთა ჯამი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებას. ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაში შეფასების შუალედური ფორმის ხვედრითი წილია max 60 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარია: სასწავლო კურსი - min 21 ქულა, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი - min 31 ქულა), დასკვნითი ფორმის - max 40 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - min 20 ქულა). დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შეფასების შუალედურ ფორმაში გადალახული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კომპონენტში დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. Fx შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 05 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში უკვე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F (0 ქულა). შეფასების შედეგი გამოცხადდება: გამოცდის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 05 დღეში (სასწავლო კურსი), დაცვის ჩატარებიდან (პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი) - არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში, დამატებითი გამოცდის შედეგი - დამატებითი გამოცდის /დაცვის ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა;

3. საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით (უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს მაქსიმალური შესაძლო 100 ქულიდან 51 ქულას). სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში Fx შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მიღებული შეფასება არის საბოლოო შეფასება, სტუდენტს უფორმდება შეფასება F (0 ქულა) 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში. F შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას. შეფასების შედეგი გამოცხადდება დაცვის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში;

4. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;

5. პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სტუდენტის შეფასების სისტენა (შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები) მითითებული პროგრამის კომპონენტის პროგრამაში (სილაბუსში).